მღვიმეების ათვისების პრობლემები და პერსპექტივები

<u>გიორგი დვალაშვილი,</u> რამინ გობეჯიშვილი

ელ-ფოსტა; Giorgi.Dvalashvili@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის #3

მღვიმეთა პრაქტიკული მნიშვნელობა დღეისათვის შემდეგში მდგომარეობს: ა) მათი წყლების გამოყენებაში, ბ) საკანალიზაციო ექსპლოატაციაში, გ) მღვიმურ მკურნალობაში, დ) მღვიმურ ტურიზმში, ე) მღვიმური სასარგებლო ნამარხების მოპოვებაში, ვ) მღვიმეების საწყობებად გამოყენებაში, ზ) მღვიმეებში საბოსტნე კულტურების ზამთრობით მოყვანაში და ა.შ. მღვიმური წყლების სასმელად გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევებში, თუ დადგენილია მათი იზოლირებულობა არაჰიგიენური ზედაპირული წყლისაგან. ამგვარი მიწისქვეშა ნაკადები წყალს იკრებენ დაუსახლებელი ზედაპირული აუზებიდან, ტყიანი და ალპური სარტყელების ფარგლებში.

მღვიმეთა სამკურნალოდ გამოყენებისას საჭიროა სიფრთხილე, მღვიმის სპეციალური შესწავლა და დაავადების ზუსტი საექიმო დიაგნოზი.

მთელი რიგი ბუნებრივი და ხელოვნური მღვიმეები მასობრივი ტურიზმის ობიექტებს წარმოადგენენ და ზოგან ნაკრძალებადაცაა გამოცხადებული, ასევე სხვა ტურისტულ ობიექტებთან ერთად შედის ეროვნულ პარკებში.

მღვიმე გამოდგება და ნაწილობრივ კიდევაც გამოყენებულია კვების პროდუქტების (ღვინის, ხილის, ყველის, მარცვლეულის, ბოსტნეულის), სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო ინვენტარის საწყობებად.

ბევრი კარსტული მღვიმე და ხელოვნური გამოქვაბული თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით კეთილმოწყობილია (ელექტროგანათება, მისადგომი გვირაბები, ლიფტები, მიწისქვეშა მდინარეებზე და ტბებზე სამოგზაურო ნავები, სახიფათო ადგილებში აგებული აივნები, მოაჯირები, კიბეები და ა.შ.). საქართველოში გარდა ახალი ათონის, სათაფლიის, პრომეთეს (წყალტუბოს) და ნავენახევის მღვმეებისა, მასობრივი ტურიზმის ობიექტად გადაქცევის დიდი პერსპექტივა აქვთ აბრსკილის, ცუცხვათის, ნაზოდელავოს, უშოლთას, გარახას, კორცხელის, ნახიზნევის, კოტიასკლდისა და ხვედელიძეების კლდის მღვიმეებს, რაც სამეგრელოს, იმერეთის, რაჭის ტერიტორიაზე სპელეოტურიზმის განვითარების კარგი საშუალებას წარმოადგენს, მღვიმური ტურიზმი და ექსკურსიები მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს.